

# სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, COVID-19-ის გავლენა სექტორზე და პროფკავშირების სტრატეგია

დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან, შრომის უსაფრთხოებასთან, მათი ინტერესების წარმომადგენლობასთან, სოციალურ დიალოგთან და შრომის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული გამოწვევები სოფლის მეურნეობაში

ივლისი, 2021

---

კვლევის ავტორი: გიორგი ჭანტურიძე

---

*©წინამდებარე კვლევა განხორციელებულია შრომის საერთაშორისო  
ორგანიზაციის მხარდაჭერით.*

*შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციის  
შინაარსზე. კვლევაში ასახული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს.*

## შინაარსი

1. შესავალი .....	3
2. დაბალი შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში. არაფორმალური დასაქმების მასშტაბები .....	4
3. სახელმწიფოს მიერ კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის შემსუბუქების მიზნით სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გაწეული დახმარება .....	12
4. სახელმწიფოს მიერ პანდემიით გამოწვეული კრიზისის პერიოდში თვითდასაქმებულთათვის გაწეული დახმარება .....	17
5. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომები .....	21
6. სოციალური დიალოგის ნაკლებობა.....	26
7. პრობლემები სოფლის მეურნეობის დარგში და ცვლილებების საჭიროება .....	28
• პრობლემური საკითხები .....	28
• უცხოელზე მიწის მიყიდვა.....	31
• მიწის ნაკვეთების გამსხვილება .....	32
8. სტრატეგია პროფესიული კავშირებისთვის და მათი როლი სოფლის მეურნეობის დარგში.....	35
9. დასკვნა და რეკომენდაციები .....	38
გამოყენებული ლიტერატურა.....	40

## შესავალი

სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის უკვე თითქმის ათწლეულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს, სადაც სამუშაო ძალის 19,2%-ია დასაქმებული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამ დარგის სუბსიდირებაზე საკმაოდ დიდ სახსრებს ხარჯავს დარგი წინ ვერ მიდის და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 8,4%-ია.

სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორებია:

**მიწების ფრაგმენტაცია** - ერთი შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 1 ჰექტარს არ აღემატება. აღნიშნული ფაქტორი მოქმედებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე, ვინაიდან ქართულ პროდუქციას კონკურენციას უწევს უცხოური პროდუქცია, რომლის მწარმოებლებმაც მიაღწიეს მასშტაბის ეკონომიას და შეუძლიათ პროდუქცია უფრო იაფად აწარმოონ.

**გასაღების ბაზრების სიმცირე** - საქართველო სრულყოფილად ვერ იყენებს ევროკავშირისა და სხვა ბაზრებს. ქვეყანას სჭირდება უკეთესი მარკეტინგული პოლიტიკა, იმისათვის, რომ ქართული პროდუქცია გახდეს უფრო ბრენდული. ამასთან ფერმერებს ინდივიდუალურად უჭირთ ბაზრების მოძიება, ამისათვის კი საჭიროა როგორც სახელმწიფოს დახმარება, ისე ფარმერთა გაერთიანება კოოპერატივებში.

**კვების მრეწველობის განუვითარებლობა** - ფერმერს, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტს სჭირდება ამ პროდუქტის გაყიდვა. დიდი რაოდენობით წარმოებული პროდუქტის საბოლოო მომხმარებლისთვის გადაუმუშავებელი სახით მიყიდვა შეუძლებელია. ამიტომ საჭირო ხდება კვების მრეწველობის განვითარება, რომელმაც უნდა შექმნას დამატებითი ღირებულება ფერმერების მიერ მიწოდებული პროდუქტის გადამამუშავების გზით. ამასთან საჭიროა სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების განვითარება.

**დაუმუშავებელი მიწები** - საქართველოში ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი მიწების 38% დაუმუშავებელი რჩება. ფერმერებს ერთის მხრივ, არ აქვთ მოტივაცია დაამუშაონ მიწა, რომელზე მოყვანილმა პროდუქტის რეალიზაციამ შესაძლოა მოსავლის მოყვანის თვითღირებულებაც ვერ დაფაროს, ხოლო მეორეს მხრივ, სოფლის მოსახლეობის ნაწილი შესაძლოა სხვა საქმიანობით არის დაკავებული და ამის მიუხედავად ინარჩუნებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას. ასეთ პირებს არ აქვთ მოტივატორი გაყიდონ მიწა მასზე, ვისაც მისი დამუშავება სურს.


**ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე** - ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. შედეგად ნაკლებად ხდება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ტექნოლოგიების შემოსვლა. საქართველოს მასშტაბით კი სოფლის მეურნეობის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამები არაპოპულარულია, რაც იწვევს ცოდნის დაგროვების დაბალ ტემპს და გამოცდილების ნაკლებობას. გარდა ამისა ტექნოლოგიების გამოყენება მოითხოვს მასშტაბურ ინვესტიციას, რისი საშუალებაც ქართველ ფერმერებს არ აქვთ.

**დაურეგისტრირებელი მიწების დიდი რაოდენობა** - დაურეგისტრირებელი მიწები ერთის მხრივ ართულებს მიწის გაყიდვას, ხოლო მეორეს მხრივ, რთულდება ფერმერთა მონაწილეობა აგროდაზღვევისა და სხვა პროგრამებში.

### **დაბალი შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში. არაფორმალური დასაქმების მასშტაბები**

სოფლის მოსახლეობა 2001 წლის მდგომარეობით 44,8% იყო და თანდათან მცირდებოდა. 2021 წლის მდგომარეობით სოფლის მოსახლეობამ მთლიანი მოსახლეობის 40,6%-ს შეადგენა (1,52 მლნ). აღნიშნული შემცირება გარკვეულწილად განპირობებულია ურბანიზაციით, თუმცა კვლავაც შეინიშნება მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქებისკენ და სოფლების დაცლა.

ბოლო პერიოდში ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია სოფლის განვითარებისკენ და სოფელში მოსახლეობის შენარჩუნებისკენ. თუმცა ძირითადი ფულადი სახსრები მიიმართება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სუბსიდირებისკენ. ეს კი სოფლის განვითარებისთვის ყოველთვის საუკეთესო გზა არ არის. თუკი სოფლის მეურნეობის სუბსიდირება არ იძლევა სასურველ შედეგს, სოფლის განვითარებისთვის საჭირო ხდება სოფლად სხვა დარგების განვითარებაც.




1998 წელს სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს ეკონომიკაში 28% იყო, 2008 წელს – 9.4%, ხოლო 2021 წელს - 8.4%. მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება ნორმალური პროცესია ქვეყნის განვითარების პარალელურად. სოფლის მეურნეობის წილის შემცირება საქართველოში განპირობებული იყო სხვა დარგების ზრდით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ სოფლის მეურნეობის დარგი, საკმაოდ დიდი მოცულობის სუბსიდირების მიუხედავად ფაქტიურად არ იზრდებოდა.

2013 წლიდან სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადდა, შესაბამისად, საბიუჯეტო დაფინანსებაც გაიზარდა. აღნიშნული დაფინანსების პოზიტიური შედეგი იყო ხვნა-თესვის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა. 2013 წელს სექტორი 11.3%-ით გაიზარდა. თუმცა ამის შემდეგ, 2014-2015 წლებში, ზრდის ტემპი 1.5%-მდე შემცირდა, 2017-2018 წლებში კი 3%-იანი კლება ფიქსირდებოდა.



სუბსიდირება ეფექტური იქნება, თუკი ის არის მოკლევადიანი და მოსახლეობამ იცის, რომ ეს არის გარდამავალი პერიოდი და მომავალში მათ მოუწევთ საკუთარი ძალებით გააგრძელონ პროდუქციის წარმოება. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა სუბსიდირებით მიღებულ სახსრებს უფრო ეფექტურად იყენებს და ემზადება მომავალი პერიოდისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბსიდირებული თანხა სახელმწიფოსთვის დაკარგულია და მისი გამოყენება შესაძლებელია უფრო ეფექტიანი ყოფილიყო მიზნობრივი

<sup>1</sup>წინასწარი მონაცემები

სოციალური დახმარების სახით და პარალელურად სხვა დარგების განვითარებისთვის.



უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მცირე ტემპით ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა რაც შესაძლოა გარკვეულწილად დაკავშირებულია უცხოელებზე მიწის მიყიდვასთან დაკავშირებულ მორატორიუმებთან გასულ წლებში. შესაბამისად არ ხდება განვითარებული ქვეყნებიდან გამოცდილებისა და ტექნოლოგიების შემოსვლა. ამასთან სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ფლობს მცირე ნაკვეთებს, ამის მიზეზია, ერთის მხრივ, ის, რომ საქართველო მცირე მიწიანი ქვეყანაა, ხოლო მეორეს მხრივ სოფელში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი - 40%-ზე მეტი ცხოვრობს. სოფელში მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთი მოდის, ამიტომ რთულია საოჯახო მეურნეობის მსხვილ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნა. აქედან გამომდინარე ქართველი გლეხი ვერ აღწევს მასშტაბის ეკონომიას, რის ხარჯზეც უნდა მცირდებოდეს პროდუქტის ფასი, ხოლო პროდუქცია უფრო კონურენტუნარიანი ხდებოდეს. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე ცოდნის სიმცირე, რაც თავის მხრივ იწვევს დაბალ შრომის ნაყოფიერებას და შესაბამისად პროდუქციის მაღალ ღირებულებას.



ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ფაქტიურად არ იზრდება. გრაფიკზე მოცემულია დარგის რეალური ზრდა (2010 წლის ფასებში) თუკი 2011 წელს დარგის მიერ წარმოებული დამატებული ღირებულება 3 მლრდ ლარს შეადგენდა, 2020 წელს წარმოებული პროდუქციის რეალური ღირებულება (2011 წლის ფასებში) 3,2 მილიარდს არ აღემატებოდა. აღნიშნული თავის მხრივ მეტყველებს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების არასრულყოფილ გეგმაზე.



*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგავლენასექტორზე*

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8,4%-ს შეადგენს, დარგში დასაქმებულია მთლიანი დასაქმებულების 19,8%.<sup>2</sup> გარდა ამისა 2021 წლამდე ვიდრე საქსტატი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული სტანდარტებს დანერგავდა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად მიიჩნეოდა დასაქმებულთა თითქმის 40%. აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვამ დასაქმებულთა რიგებიდან გამორიცხა ის პირები, რომლებიც ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. შესაბამისად, ესენი იყვნენ ის პირები, რომლებიც ყველაზე დაბალპროდუქტიულები არიან ან აქვთ განსაკუთრებით მცირე მიწა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილთან შედარებით მშპ-ში შეტანილი წვლილის თითქმის 2,5-ჯერ სიმცირე მეტყველებს დარგის და იქ დასაქმებულთა დაბალ შრომის ნაყოფიერებაზე. ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად ხდება სოფლის მეურნეობის სუბსიდირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამ პოლიტიკის არაეფექტურობას უსვამს ხაზს.


უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები ბევრად ჩამორჩება შემოსავლებს ქალაქში. ერთი მოსახლის საშუალო შემოსავალი სოფლად 2020 წელს შეადგენდა 410 ლარს, რაც ქალაქად მცხოვრებთან მიმართებით (705,9ლარი) შეადგენს მხოლოდ 58,1%-ს.

კიდევ უფრო დიდია სხვაობა დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში სადაც ქალაქში მცხოვრებისთვის ამ გზით მიღებული შემოსავალი 3-ჯერ აღემატება სოფლად მცხოვრების ანალოგიურ მაჩვენებელს. დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლის უდიდეს ნაწილს, შესაბამისად სოფლად დაქირავებული შრომის სიმცირე ნეგატიურად აისახება სოფლის მოსახლეობის შემოსავლებზეც. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 51,6% თვითდასაქმებულია. მაშინ, როცა ქალაქად თვითდასაქმებულთა წილი მხოლოდ 18,1%-ია.<sup>3</sup>

---

<sup>2</sup>[საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების \(Nace rev. 2\) მიხედვით 2020](#)

<sup>3</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის მაჩვენებლები ქალაქ-სოფლის მიხედვით“, 2020




თვითდასაქმებულთა და არაფორმალურად დასაქმებულთა სოციალური დაცვის მექანიზმების მიღმა ყოფნის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას საქართველოში, სადაც დასაქმებულთა 31,8% თვითდასაქმებულია. დასაქმებულთა 19,8% მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორში. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა კი არაფორმალურია. ამასთან არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა შორისაც საქსტატის მონაცემებით 31,7% არაფორმალურადაა დასაქმებული.

სასოფლო მეურნეობის მფლობელი უმეტეს შემთხვევებში კაცია. კაცები 2020 წელს შეადგენენ მეურნეთა 67,8%-ს, შესაბამისად ქალების წილი 32,2%-ია.

სექტორში გენდერულ სხვაობათა შეფასება აჩვენებს, რომ ქალები მამაკაცებზე მეტად არიან ჩართულნი დაბალშემოსავლიან საქმიანობაში, როგორც არის საარსებო სოფლის მეურნეობა. კაცებთან შედარებით ქალების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მცირე მასშტაბიანია.<sup>4</sup> ამასთან ქალების ჩართულობა განსაკუთრებით დაბალია ქვეყანაში არსებული კოოპერატივების მართვაში, სადაც ქალი მმართველების წილი მხოლოდ 6%-ს შეადგენს.<sup>5</sup>

<sup>4</sup> [გაეროს განვითარების პროგრამა „გენდერული ბარიერების საქართველოში: ბარიერები დარეკომენდაციები. ნაწილი II, გვ. 37](#)

<sup>5</sup> [ნ. გელაშვილი, სტატია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლის სოფლის მეურნეობის განვითარება“](#)



მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა, როგორ უნდა მოხდეს არაფორმალური დასაქმების ფორმალიზაცია. პირველ რიგში კი ეს უნდა იყოს დამატებითი ბენეფიტების შექმნის გზით და არა იძულების ღონისძიებებით. სოფლის მეურნეობის პირველადი პრდუქციის მიწოდება საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან, ამასთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის მოქალაქეს არ მოეთხოვება იურიდიული რეგისტრაცია, შესაბამისად სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არაფორმალურ საქმიანობას ეწევა.

სახელმწიფოს მიერ ფორმალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები ძირითადად მიმართულია ბიზნესის წარმოების გამარტივებისკენ და ფორმალური თვითდასაქმების წახალისებისკენ (ინდმეწარმე, მცირე და მიკრო მეწარმე). თუმცა სახელმწიფო ნაკლებად ცდილობს ფორმალურ დასაქმებაში შექმნას ისეთი სოციალური ბენეფიტები და შრომითი პირობები, რაც არაფორმალურად დასაქმებულებისთვის მიმზიდველი იქნებოდა.

სახელმწიფოს პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში მიმართულია თვითდასაქმების წახალისებისკენ. მიწაზე მუშაობა მიიჩნევა მინიმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის მარტივ გზად და შესაბამისად პოლიტიკა მიმართულია სოფლის მოსახლეობის მიერ მცირე მიწების ფლობისკენ. მსგავსი პოლიტიკა გამართლებულია სოფლის მოსახლეობის საარსებო წყაროთი უზრუნველყოფის მხრივ, თუმცა ასეთ პოლიტიკას არ შეუძლია გაზარდოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლები, რაზეც ბოლო წლების სტატისტიკაც

მეტყველებს - მიუხედავად დარგის სუბსიდირებისა, წარმოებული პროდუქციის რეალური ღირებულება არ იზრდება.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი შედარებით ნაკლებად მტკივნეული იყო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის, ვინაიდან ისინი აწარმოებენ პირველადი მოხმარების საქონელს, პანდემიის საწყის პერიოდში კი მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი მოთხოვნა საკვებზე.

იმ თვითდასაქმებულებისთვის, რომლებმაც პანდემიის პერიოდში დაკარგეს შემოსავალი, რთული აღმოჩნდა სახელმწიფოსგან დაწესებული კომპენსაციის მიღება, რისი მიზეზიც იყო, როგორც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა წრის შეზღუდვა, ისე ამ პირთათვის იურიდიული პირისგან გაცემული დოკუმენტის მოთხოვნა, რომლითაც დადასტურდებოდა შემოსავლის დაკარგვა. ასეთი დოკუმენტის მიღება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმეტესობისთვის, რომლების არაფორმალურად არიან დასაქმებლნი შეუძლებელი აღმოჩნდა.

იმ თვითდასაქმებულთა უმეტესობა, რომლებმაც მიმართეს სახელმწიფოს კომპენსაციის მისაღებად, სავარაუდოდ შეადგენდნენ არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულებს. **სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად სულ დარეგისტრირდა 250 ათასამდე თვითდასაქმებული.** მათგან 100 ათასამდე პირმა კომპენსაცია საკმაოდ სწრაფად მიიღო (2020 წლის მაისი-ივნისი), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირები შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებულნი იყვნენ. დანარჩენი 150 ათასი მოქალაქის განაცხადების განხილვა კი ინდივიდუალურად მიმდინარეობდა. რამოდენიმე თვის შემდეგ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და კომპენსაცია გასცა ყველა იმ პირზე, რომელმაც შეიტანა განაცხადი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმის გამო, რომ თვითდასაქმების ფაქტის შესაბამისი დოკუმენტით დადასტურება დასაქმებულთა უდიდესი ნაწილისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, ბიუჯეტი კი აუთვისებელი რჩებოდა.

კრიზისმა ნათლად გამოაჩინა არაფორმალურად დასაქმებულთა პრობლემები, რომელსაც ისინი აწყდებიან ან შეიძლება წააწყდნენ. სახელმწიფო კომპენსაცია, რომელიც თვითდასაქმებულებმა მიიღეს ერთჯერადი იყო, დაქირავებით დასაქმებულთაგან განსხვავებით, ვისთვისაც კომპენსაცია 6 თვის განმავლობაში გაიცემოდა. **საერთო ჯამში კი დაქირავებით დასაქმებულთა კომპენსაცია 4-ჯერ აღემატებოდა თვითდასაქმებულთა კომპენსაციას.**

სტატისტიკის მეთოდოლოგიის ცვლილებამ გამოაჩინა, რომ სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკავებულია საარსებო მეურნეობით და ამ

საქმიანობას სოფლის მეურნეობასთან, როგორც ეკონომიკის დარგთან, საერთო არ აქვს. ასეთი პირები ფულადი სახით შემოსავალს არ იღებენ. მათთვის რატემა უნდა სასურველი იქნებოდა სამუშაოს პოვნა, თუკი იმავე დარგში გაჩნდებოდა დამქირავებელი. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სოფლად არის საკმაოდ დიდი რაოდენობის მუშახელი, რომელიც არ არის დასაქმებული და ამ დარგში ინვესტიციების ჩადების შემთხვევაში შესაძლებელია ამ ადამიანების დაქირავებით დასაქმება.

დაქირავებით, ფორმალურად დასაქმება უნდა გახდეს მიმზიდველი სოფლის მაცხოვრებლებისთვის. ამისათვის საჭირო იქნება სოფლის მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. საჭირო იქნება ასევე შრომის ინსპექციის მიერ დარგში კონტროლის გაზრდა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულებს, მათთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს შრომის დაბალი ნაყოფიერება. სამწუხაროდ სოფლის მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობის მიღმა დასაქმების შანსები თითქმის არ არსებობს. ამიტომ მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის მომზადება/გადამზადება. გრძელვადიან პერიოდში კი სახელმწიომ უნდა იზრუნოს, რომ სოფლად შექმნას დასაქმების სხვა გზები, რათა შეამციროს სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულება მხოლოდ საარსებო მინიმუმის შექმნაზე ორიენტირებულ სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე. ამასთანავე ხელი უნდა შეუწყოს დასაქმების ალტერნატიული შესაძლებლობების შექმნას, რაც გაზრდიდა სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს.

## **სახელმწიფოს მიერ კოვიდ19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის შემსუბუქების მიზნით სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გაწეული დახმარება**

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი საკმაოდ რთულად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2020 წლის განმავლობაში ქვეყნის მშპ შემცირდა 6,2%-ით. შემცირება ყველაზე მეტად შეეხო ტურიზმის, გართობისა და დასვენების სექტორს. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია პირველადი მოხმარების საქონელია, მისი წარმოება არ შემცირებულა და 3,6%-ით გაიზარდა კიდევ. პანდემიის დასაწყისში მოსახლეობაში არსებობდა საკვების მომარაგების ტენდენცია, შესაბამისად ხდებოდა უფრო მეტი პროდუქციის რეალიზაცია. შემდგომ პერიოდში გაყიდვები ნორმალურ ტემპს დაუბრუნდა.

*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგავლენასექტორზე*

უარყოფითი გავლენა სოფლის მეურნეობაზე მოახდინა ტურიზმის სექტორის „ჩავარდნამ“. სასტუმროები და რესტორნები, რომლებიც მოიხმარდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას გაჩერდნენ ან მომხმარებლის გარეშე დარჩნენ. ტურიზმის სექტორის სრულად აღდგენას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება, ამიტომ ის ფერმერები, რომლებიც ამარაგებდნენ სასტუმროებსა და რესტორნებს რთულ მდგომარეობაში დარჩებიან.

ტურიზმის სექტორის გაჩერების ეფექტი შეიძლება ითქვას, რომ დაკომპენსირდა სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფოს მიერ ახალი პროგრამების დაწყებით. შესაბამისად საერთო სურათი დარგში ნეგატიური კუთხით არ შეცვლილა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა სექტორზე გავლენის მომხდენი, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ფაქტორები, ამან არაერთგვაროვანი გავლენა მოახდინა სექტორში დასაქმებულებზე. შესაბამისად მასში დასაქმებულთა ნაწილმა შესაძლოა შეინარჩუნა ან გაიუმჯობესა კიდევ ეკონომიკური მდგომარეობა, თუმცა მეორე ნაწილის მდგომარეობა, რომელზეც უფრო მეტი ნეგატიური ეფექტი მოვიდა სავარაუდოდ გაუარესდა.

ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის დარგის წასახალისებლად საკმაოდ ბევრი პროგრამა დაიწყო, მათ შორის: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, „აგროდიზელთა ხელშეწყობის პროგრამა“ და სხვ. ასევე გრძელდება პროგრამები, რომლებიც წინა პერიოდში იყო დაწყებული.

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ჟულით).

პროგრამა ეხება იმ პირებს, რომელთაც საკუთრებაში გააჩნიათ 0.25 ჰა-დან 10 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი. მესაკუთრეს შეუძლია ბარათზე დარიცხული ჟულები გამოიყენოს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად:

- სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები
- მცენარეთა მოვლის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები
- სათესლე და სარგავი მასალები.

პროგრამა განკუთვნილი იყო 200,000-მდე ფერმერისთვის. ხოლო ბიუჯეტმა 37 000 000 ლარი შეადგინა.

დარიცხული ქულებით ფერმერებს შესაბამისი საქონლის შეძენა შეეძლოთ სპეციალიზირებულ მაღაზიებში. აღნიშნული ქულების დარიცხვა ხდებოდა სპეციალურ ბარათზე, რომელისაც ფერმერი „ლიბერთი ბანკში იღებდა.

ბარათზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადად განისაზღვრა 2021 წლის 20 მაისი. შესაბამისად აღნიშნული პროგრამა იყო 1 წლიანი და დასრულდა მიუხედავად იმისა, რომ პანდემია და მისით გამოწვეული კრიზისი უკვე მომდევნო წელშიც გადავიდა.

### **აგროდიზელთ ხელშეწყობის პროგრამა**

აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა დიზელის საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემას ფერმერებისთვის, რომელთა საკუთრებაშიც არის 0,25-დან 100 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი. პროგრამის ფარგლებში საწვავის ლიმიტი 1 ჰა-ზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამა გათვლილი იყო 200 000 ფერმერზე და გაგრძელდა 2020 წლის ბოლომდე.

### **2012-2019 წწ. სამელიორაციო მომსახურების დავალიანების ჩამოწერა**

42 000-მდე ფერმერს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული დავალიანება სრულად ჩამოეწერა. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 8 მლნ ლარი.

დავალიანების ჩამოწერა მოხდა იმ პირებისთვის, რომლებმაც ისარგებლეს შემდეგი მომსახურებით: ირიგაცია, დრენაჟი, მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა. აღნიშნული დავალიანება ფერმერებს ჩამოეწერათ ავტომატურად.

გრადა ამისა ფერმერები გათავისუფლდნენ სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან 2020 წლის განმავლობაშიც. ეს გადასახადი 1 ჰა-ზე 75 ლარს შეადგენს და ჯამში ამ გადასახადის სუბსიდირებისთვის ბიუჯეტიდან 5 მლნ. ლარი გამოიყო. აღნიშნული სუბსიდირება შეეხოთ მხოლოდ მათ, ვინც ისარგებლა ირიგაცია ან/და დრენაჟის მომსახურებით და დაფინანსდა 10ჰა-მდე ფართობის მიწის მომსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ეხებოდა, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

### **შელავათიანი აგროკრედიტი**

აღნიშნული წარმოადგენს მანამდე არსებულ პროგრამას, თუმცა პანდემიისგან გამოწვეული კრიზისის გამო მას დაემატა ახალი ქვეკომპონენტი - მემცენარეობის

საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. ამ მიზნით სესხები გაიცემა 5000-დან 100 000 ლარის ჩათვლით. სახელმწიფო კი აფინანსებს 6 თვის საპროცენტო განაკვეთს უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ხოლო არაუზრუნველყოფილის შემთხვევაში წლიური 17%-ის ოდენობით. აღნიშნული პროგრამა გათვლილია 5000 ბენეფიციარზე და მისი ბიუჯეტი შეადგენს 50 მლნ. ლარს.<sup>6</sup>

პროექტს ასევე დაემატა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხი გაიცემა 1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, რომლის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სააგენტო მოახდენს წლიური 10 %-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. არსებულ მიზნობრიობებს ემატება ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების, პურისა და პურპროდუქტების წარმოების და მაკარონის წარმოების დაფინანსება. პროექტს ემატება აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება 12% იქნება 24 თვის განმავლობაში.

### აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა მოიცავს:

- სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსებას.
- ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ან/და არსებული სასათბურე მეურნეობის გაფართოება/მოდერნიზებისთვის საჭირო შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენის და მათი სამონტაჟო სამუშაოების თანადაფინანსებას.
- ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟის თანადაფინანსებას.

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 50,000 ლარისა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500,000 ლარს. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10,000,000 ლარს. პროგრამის ფარგლებში ხლისუფლება მოელის, რომ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

პროგრამის ბენეფიციარია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

<sup>6</sup>[სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდი...შელავათიანი აგროკრედიტი](#)



## აგროდაზღვევა

აგროდაზღვევის პროგრამაში, რომელიც მანამდეც ხორციელდებოდა, შევიდა გარკვეული ცვლილებები. მრავალწლოვანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დააზღვიონ საკუთარი მოსავალი სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა პოლისის ღირებულების 70%-ით, ხოლო ვაზზე, 50%-ით განისაზღვრება.

სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა.

აგროდაზღვევის ბენეფიციარი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამასთან დამზღვევი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა რეესტრში.

პროგრამაში ჩართულია 7 სადაზღვევო კომპანია, ესენია:

- ალდაგი;
- ჯი პი აი ჰოლდინგი;
- სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია;
- არდი;
- ალფა;
- თიბისი დაზღვევა;
- ნიუ ვიჟენ დაზღვევა;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროექტები:

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს კოოპერაციული სისტემის ფარგლებში მევენახე ფერმერების მიერ ყურძნის წარმოების ზრდის სტიმულირებას და ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბებას.

პროგრამა აფინანსებს ყურძნის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის მთიან დასახლებებში არანაკლებ 50 და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არანაკლებ 100 ტონა ყურძნის გადამამუშავებისათვის და ღვინის წარმოებისათვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის თანადაფინანსებას:

- მთიან დასახლებებში 95%-იანი თანადაფინანსება არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.
- საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

### **რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო მროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს კოოპერაციის ფარგლებში რძის მიმღები გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბებას და რძის ნაწარმის წარმოებას.

რძის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის რძის გადამამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს:

- მთიან დასახლებებში 95%-იან თანადაფინანსებას, არა უმეტეს 150 ათას ლარს ერთ კოოპერატივზე;
- საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 150 ათას ლარს ერთ კოოპერატივზე.

### **სახელმწიფოს მიერ პანდემიით გამოწვეული კრიზისის პერიოდში თვითდასაქმებულთათვის გაწეული დახმარება**

Covid-19-მე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე და შესაბამისად მთლიანად მოსახლეობის მდგომარეობაზე. მოსახლეობის შემოსავლები შემცირდა, ხოლო ფასები გაიზარდა. 2020 წლის ინფლაცია წინა წელთან შედარებით ოფიციალურად მხოლოდ 5,2% იყო. თუმცა როგორც ყოველთვის ფასები საკვებ პროდუქტებზე, რომელზეც მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი იხარჯება (განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში) ბევრად სწრაფად გაიზარდა. მაგალითად - ხორბლის ფქვილის ფასი 17,2%-ით, წიწიბურის 37,6%-ით, მაკარონის 16,4%-ით, ხოლო მზესუმზირის ზეთის ფასი 42%-ით გაიზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის მეთოდოლოგიითვე მოსახლეობის მოხმარებში 70% საკვები პროდუქტებია. სწორედ ამ მეთოდით არის დათვლილი საარსებო მინიმუმი, რომელიც ივნისში 214 ლარს შეადგენდა. კრიზისულ პერიოდში, როცა მოსახლეობის შემოსავლები მცირდება (მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 6,2%-ით), ხარჯების წილი საკვებზე კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად ფასების

ეს ზრდა კიდევ ერთი მიმდინარე დარტყმაა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისათვის, რომელიც შემოსავლების შემცირების გამო ისედაც დამძიმდა.

საარსებო შემწეობის მიმღებთა წილი მოსახლეობაში 2020 წლის იანვრიდან დეკემბრამდე 11,6%-დან 14,1%-მდე გაიზარდა (524 598 ადამიანი). ეს არის ის ზღვარი, რომელზეც სახელმწიფო გასცემს დახმარებას, თუმცა სიღარიბის რეალური მაჩვენებელი შესაძლოა ბევრად დიდი იყოს. გაიზარდა ასევე იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც რეგისტრირდებიან საარსებო შემწეობის მისაღებ ბაზაში. ასეთმა პირებმა მოსახლეობის 27% შეადგინა.<sup>7</sup>

2020 წლის მე-2 კვარტალში ხელფასები შემცირდა 2,6%. ეს ის პერიოდია, როცა დამსაქმებლები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ დასაქმებულებს. შემდგომ პერიოდში საშუალო ხელფასი ერთი შეხედვით გაიზარდა (8%-ით 2020-ში), თუმცა ეს ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ყველაზე დაბალანაზღაურებადი დასაქმებულები სამსახურის გარეშე დარჩნენ. უმუშევრობის დონე 2020 წელს 0,9%-ით 18,5%-მდე გაიზარდა. 1,3%-ით შემცირდა ასევე სამუშაო ძალა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვეყანაში არსებული მაღალი უთანასწორობა (ჯინის კოეფიციენტი 0.37). აღნიშნული უთანასწორობა გამოწვეულია იმ სოციალური და შრომის ბაზრის პოლიტიკით, რომელიც ათწლეულებია გრძელდება. საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის შემწეობა, ფაქტიურად უფუნქციოა მინიმალური ხელფასი, მრავალი წელია მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის ერთიანი ტარიფი (Flat rate), ეს ყველაფერი კი შემოსავლების გადანაწილებას უთანასწოროს ხდის. 2020 წლის ოქტომბერში, როდესაც მოსახლეობის შემოსავლები შემცირდა ყველაზე მაღალანაზღაურებადი 100 დასაქმებული იღებდა ისეთივე ანაზღაურებას რასაც დაბალანაზღაურებადი 130 000 მოქალაქე.<sup>8</sup> ეს არის დაქირავებით დასაქმებულთა 15,3%. მსგავსი უთანასწორობა შეიძლება შემცირდეს მინიმალური ხელფასის შემოღებით. რაც აიძულებს დამსაქმებლებს ქვედა რგოლში უფრო მეტად გაზარდოს ხელფასები. უთანასწორობის შემცირების კიდევ ერთი გზა დამსაქმებლებსა და ორგანიზებულ მშრომელთა შორის კოლექტიური მოლაპარაკებების ხელშეწყობაა როგორც სექტორულ, ასევე საწარმოს დონეზე.

კრიზისმა აშკარა გახადა დაკარგული და შემცირებული ხელფასების/შემოსავლების კომპენსირების და სოციალური დაცვის დამატებითი ინსტრუმენტების საჭიროება. ხელისუფლება იძულებული გახდა შემოეღო

<sup>7</sup>[სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი, საარსებო შემწეობა, 2020](#)

<sup>8</sup> შემოსავლების სამსახურის მონაცემები

*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგავლენასექტორზე*

დროებითი უმუშევრობის კომპენსაცია. საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან დროებით გათავისუფლდა გარკვეულ ზღვარს ქვევით მიღებული ხელფასი, შესაბამისად გადასახადმა დროებით მიიღო პროგრესული სახე. თუმცა დაზოგილი თანხის განკარგვის უფლება დამსაქმებელს მიეცა. აღნიშნული ცვლილებები საჭირო არ გახდებოდა თუკი მანამდე იარსებებდა უმუშევრობის შემწეობა და პროგრესული გადასახადი.

სახელმწიფომ COVID-19-ის შედეგების შესამსუბუქებლად შემოიღო კომპენსაციები, როგორც დაქირავებით დასაქმებულებისთვის, ისე თვითდასაქმებულებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ თვითდასაქმებულთა დახმარება ერთჯერადი ხასიათის იყო, რითაც განსხვავდებოდა დაქირავებით დასაქმებულთა დახმარებისგან. თუკი დაქირავებით დასაქმებულები 6 თვის განმავლობაში 200 ლარს იღებდნენ (ჯამში 1200 ლარი), თვითდასაქმებულებმა მხოლოდ ერთჯერადად მიიღეს 300 ლარი. შესაბამისად თვითდასაქმებულთა დახმარება დაქირავებით დასაქმებულებთან შედარებით 4-ჯერ ნაკლები იყო.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი სწორედ თვითდასაქმებულია, მათ შორის კი ბევრია არაფორმალურად დასაქმებული. შესაბამისად მათთვის განკუთვნილი დახმარება მხოლოდ 300 ლარიანი იყო.

მთავრობის დადგენილების მიხედვით: „არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები და თვითდასაქმებულები რომელმაც დაკარგეს შემოსავალი, დასაბუთების შემთხვევაში, იღებდნენ ერთჯერად დახმარებას 300 ლარის ოდენობით“<sup>9</sup>. ამ პროგრამისთვის ბიუჯეტიდან გამოიყო- 75 მილიონი ლარი.

დადგენილება პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის საქმიანობის განმახორციელებელ პირებს განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებდა. შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებული თვითდასაქმებულებისთვის ეს კრიტერიუმები შედარებით მარტივი იყო, არარეგისტრირებულ დასაქმებულებს კი დამატებით დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება გააჩნდათ. მათ განაცხადი უნდა შეეცსოთ ვებ-გვერდზე - [compensation.moh.gov.ge](http://compensation.moh.gov.ge)

არარეგისტრირებული თვითდასაქმებულებისთვის მთავრობის დადგენილებაში არსებობდა გარკვეული ხარვეზები, რაც ართულებდა და ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელს ხდიდა ამ პირების მიერ დახმარებით სარგებლობას. ხარვეზები განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო არარეგისტრირებული (არაფორმალური)

<sup>9</sup> [ახალი კორონავირუსით \(SARS-COV-2\) გამოწვეული ინფექციის \(COVID-19\) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ](#)

დასაქმებულებისთვის. მათ შორის იყვნენ პირები, რომლებიც აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

მთავრობის დადგენილების მიხედვით: პირი, რომელიც ამზადებდა სუვენირებს და აბარებდა სუვენირების მაღაზიას, ან პირი რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტს აბარებდა საცხოვს/რესტორანს -უნდა წარედგინა შესაბამისი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი (შესყიდვის აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი);

სოფლის მეურნეობის პროდუქციას გლეხებისა და ფერმერები სუმეტესობა აბარებს არა საცხოვს ან/და რესტორანს, არამედ აბარებს ბაზრის ტერიტორიაზე გადამყიდველს, ან ყიდის ამ პროდუქციას თავად. ბაზრობაზე მოვაჭრე პირები, თავადაც არაფორმალურად დასაქმებულები არიან, შესაბამისად მათგან ფერმერი ვერანაირ დოკუმენტს ვერ მიიღებდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანებიც დახმარების გარეშე რჩებოდნენ.

აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების ყურადღება მიიქცია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების აქტივობებმა. პროფესიულმა კავშირებმა მიმართეს შესაბამის უწყებებს და გააცნეს ის ხავეზები, რომლებიც არსებობდა მთავრობის დადგენილებაში. ამასთან პროფესიული კავშირები ეხმარებოდნენ ბაზრობებზე დასაქმებულებს მიეღოთ ცნობა ბაზრობის ადმინისტრაციისგან მათი იქ საქმიანობის დასტურის შესახებ. გარდა ამისა პროფესიული კავშირები ადგილზე ეხმარებოდა დასაქმებულებს განაცხადის შევსებასა და შესაბამის ვებგვერდზე ატვირთვაში, რაც კომპენსაციის მისაღებად იყო საჭირო.

აღნიშნულმა ქმედებებმა შედეგი გამოიღო და სახელმწიფომ საბოლოოდ ყველა პირს, ვინც შეავსო განაცხადი მისცა კომპენსაცია, იმის მიუხედავად შეძლეს თუ არა მათ მოთხოვნილი ცნობების წარმოდგენა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სავარაუდოა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მხოლოდ მცირე რაოდენობამ მიიღო კომპენსაცია. ამის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, თუმცა მთავრობის დადგენილების თავდაპირველი ჩანაწერი ხაზს უსვამდა იმას, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირი კომპენსაციას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუკი ის პროდუქციას აბარებდა საცხოვს, ან რესტორანს. შესაბამისად სხვა პირებს არ ექნებოდათ შესაძლებლობა დარეგისტრირებულიყვნენ. ისეთი პირების რაოდენობა, კი რომლებიც პროდუქციას პირდაპირ აბარებენ საცხოვებს და რესტორნებს არც თუ ისე მაღალია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპენსაციების მეორე ტალღა, რომელიც თავის მხრივ 2020 წლის დეკემბერში ეკონომიკის მეორედ შეზღუდვას მოჰყვა,

აღარ ითვალისწინებდა დახმარებას თვითდასაქმებულებისთვის. რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ გაითვალისწინა ის, რომ წინა პერიოდში ყველა თვითდასაქმებულზე მოუხდა დახმარების გაცემა, რომლებმაც შეავსეს განაცხადი და ამჯერად ისინი სრულად გამორიცხა კომპენსაციის მიმღებთა რიგებიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია განპირობებული იყო კომპენსაციის გაცემის ადმინისტრირების სირთულით. თუმცა თვითდასაქმებულთა და არაფორმალურად დასაქმებულთა გამორიცხვა სოციალური გასაცემლის მიმღებთა კატეგორიებიდან, მაშინ, როცა მათი შემოსავლები ყველაზე დაბალია, არასწორია ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ნაბიჯით, მთავრობამ ასევე ხელიდან გაუშვა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის კომპენსირების გზით საერთო ეკონომიკური მოთხოვნის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების დონის შენარჩუნებასაც შეუწყობდა ხელს.

## შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (შემდგომში შსო), სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით მიღებული აქვს საკმაოდ ბევრი კონვენცია, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი კონვენციები: „№184 უსაფრთხეებისა და ჯანმრთელობის შესახებ სოფლის მეურნეობაში<sup>10</sup>“ და შესაბამისი რეკომენდაცია №192<sup>11</sup>; „№011 ასოციაციის თავისუფლების შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>12</sup>“; „№129 შრომის ინსპექციის შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>13</sup>“; „№010 მინიმალური ასაკის შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>14</sup>“; „№101 ანაზღაურებადი დასვენების შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>15</sup>“; „№025 ავადმყოფობის დაზღვევის შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>16</sup>“; „№038 ინვალიდობის შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>17</sup>“; „№099 მინიმალური ხელფასის დაწესების მექანიზმის შესახებ (სოფლის მეურნეობაში)<sup>18</sup>“;

შსო-ს კონვენცია №184 „უსაფრთხეებისა და ჯანმრთელობის შესახებ სოფლის მეურნეობაში“, სოფლის მეურნეობად განიხილავს როგორც თავად სოფლის მეურნეობის, ისე სატყეო მეურნეობის ნაწილის, რომელიც სოფლის

<sup>10</sup> [C184 - Safety and Health in Agriculture Convention, 2001 \(No. 184\)](#)

<sup>11</sup> [R192 - Safety and Health in Agriculture Recommendation, 2001 \(No. 192\)](#)

<sup>12</sup> [Co11 - Right of Association \(Agriculture\) Convention, 1921 \(No. 11\)](#)

<sup>13</sup> [C129 - Labour Inspection \(Agriculture\) Convention, 1969 \(No. 129\)](#)

<sup>14</sup> [Co10 - Minimum Age \(Agriculture\) Convention, 1921 \(No. 10\)](#)

<sup>15</sup> [C101 - Holidays with Pay \(Agriculture\) Convention, 1952 \(No. 101\)](#)

<sup>16</sup> [Co25 - Sickness Insurance \(Agriculture\) Convention, 1927 \(No. 25\)](#)

<sup>17</sup> [Co38 - Invalidity Insurance \(Agriculture\) Convention, 1933 \(No. 38\)](#)

<sup>18</sup> [Co99 - Minimum Wage Fixing Machinery \(Agriculture\) Convention, 1951 \(No. 99\)](#)

მეურნეობასთან არის დაკავშირებული, ასევე მესაქონლეობას, მწერების მოშენებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველად დამუშავებას და ა.შ.

აღნიშნული კონვენციის მიხედვით სოფლის მეურნეობაში არ იგულისხმება:

- საარსებო მეურნეობა;<sup>19</sup>
- ინდუსტრიული დამუშავება, რომელიც იყენებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, როგორც ნედლ მასალას და მასთან დაკავშირებული სერვისები;
- ტყეების ინდუსტრიული გამოყენება.<sup>20</sup>

კონვენციის მიხედვით ეროვნული პრაქტიკის გათვალისწინებით, დასაქმებულებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლებთან კონსულტაციის გზით, სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების შესახებ სოფლის მეურნეობაში და პერიოდულად გადახედონ მას. ამ პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს საწარმოო შემთხვევების და ტრავმების პრევენცია სამუშაო პროცესში, სოფლის მეურნეობის სამუშაო გარემოში საფრთხეების აღმოფხვრის, მინიმუმის ან კონტროლის გზით.<sup>21</sup>

ამ მიზნით კონვენცია აწესებს მოთხოვნას განისაზღვროს პოლიტიკის იმპლემენტაციაზე და აღსრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა. აღნიშნულმა სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს მაკორექტირებელი ზომებისა და სანქციების გამოყენება, მათ შორის სადაც საჭიროა საქმიანობის შეჩერება.

ეროვნულმა კანონმდებლობამ და პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რისკის მართვა დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების მიზნით, უნდა მიიღოს პრევენციული და დამცავი ზომები იმისათვის, რომ ყველა სოფლის მეურნეობის აქტივობა, სამუშაო გარემო, აღჭურვილობა, ტექნიკა, ქიმიკატები, იარაღები და პროცესები, რომლებიც დამსაქმებლის მიერ კონტროლდება იყოს უსაფრთხო და შეესაბამებოდეს შრომის უსაფრთხოების განსაზღვრულ სტანდარტებს.

დამსაქმებელმა დასაქმებულთათვის უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ადექვატური და შესაბამისი გადამზადება და ყოვლისმომცველი ინსტრუქტაჟი.

უნდა მიიღოს დაუყოვნებელი ზომები და შეაჩეროს ოპერაცია, თუ არსებობს გარდაუვალი და სერიოზული საფრთხე ჯანმრთელობისათვის და მოახდინოს დაუყოვნებელი ევაკუაცია.<sup>22</sup>

<sup>19</sup>საქმიანობა, რომლის შედეგადაც პირი იღებს მხოლოდ ნატურალურ შემოსავალს საკუთარი მოხმარებისთვის.

<sup>20</sup>კონვენცია №184 „უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ სოფლის მეურნეობაში“ მუხლი 2

<sup>21</sup>მუხლი 4,1

<sup>22</sup> მუხლი 7 (a)

კონვენციის მიხედვით ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს:

- ადეკვატური კეთილდღეობის დაწესებულებები<sup>23</sup> უფასოდ დასაქმებულისთვის;
- მინიმალური განთავსების საშუალებების სტანდარტები დასაქმებულებისთვის, რომელთაც სამუშაოს ბუნებიდან გამომდინარე მოეთხოვებათ დროებით ან პერმანენტულად სამუშაო ადგილზე ცხოვრება.<sup>24</sup>

ამავე კონვენციის 21-ე მუხლის მიხედვით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები დაფარულნი უნდა იყვნენ დაზღვევით ან სოციალური დაცვის სქემით ფატალური და არაფატალური საწარმოო ტრავმებისა და დაავადებების შემთხვევებში. ასევე დაზღვეულნი უნდა იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობისა და სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკებისგან.

შსო-ს კონვენცია №129 „შრომის ინსპექცია (სოფლის მეურნეობაში) მიხედვით, ხელისუფლებამ საჭიროების შემთხვევაში ზღვარი სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის უნდა გაავლოს ისე, რომ არ მოხდეს სოფლის მეურნეობის გამორიცხვა შრომის ინსპექტირების ეროვნული სისტემიდან.

ამავე კონვენციის მიხედვით სოფლის მეურნეობის დარგში შრომის ინსპექციის ფუნქცია უნდა იყოს სამართლებრივი ნორმების აღსრულება, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე დაცვასთან. მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორცაა: სამუშაო საათები; ხელფასები; ყოველკვირეული სამუშაო ხანგრძლივობა; ყოველკვირეული დასვენების დღეები და სადღესასწაულო დღეები; შრომის უსართხოება და ჯანმრთელობა; ქალების, და ახალგაზრდების დასაქმება და სხვა შემთხვევები.<sup>25</sup>

ბოლო ანგარიში რომელიც შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა გამოაქვეყნა 2019 წლით თარიღდება<sup>26</sup>. ამ ანგარიშის მიხედვით სოფლის მეურნეობა არ ხვდება იმ დარგებს შორის, რომლებშიც შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა შემოწმებები ჩაატარა. ამავე ანგარიშის მიხედვით<sup>27</sup> სოფლის მეურნეობის სექტორში 2019 წელს დაშავდა 2 ადამიანი. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სფეროდ ითვლება და გამოირჩევა მაღალი ინციდენტობით, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით კი 2019 წლის განმავლობაში 168 დაშავების შემთხვევიდან სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 2 მოდის (1,1%). აღნიშნული

<sup>23</sup> სასმელი წყალი, ტანსაცმელი, განთავსება, დასასვენებელი და საკვები ობიექტები და ა.შ.

<sup>24</sup> მუხლი 19

<sup>25</sup> შსო-ს კონვენცია №129 „შრომის ინსპექცია (სოფლის მეურნეობაში) მუხლი 6,1 (a)

<sup>26</sup> [შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიში, 2019](#)

<sup>27</sup> გვ 22.



გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას იმით, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია და საწარმოო უბედური შემთხვევების შეტყობინება არ ხდება არც შრომის ინსპექციისთვის და არც სამართალდამცავი ორგანოებისთვის პირის გარდაცვალების შემთხვევაში. გარდა ამისა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტს არ ჩაუტარებია გეგმიური შემოწმება აგრარულ საწარმოებში, თვითდასაქმებულთა შემოწმების მანდატი კი შრომის ინსპექციას ამ ეტაპზე არ გააჩნია.

ყველა დასაქმებულს, იქნება ეს თვითდასაქმებული, თუ დაქირავებით დასაქმებული, უნდა გააჩნდეს უსაფრთხო შრომის უფლება. ამისათვის კი შრომის უსაფრთხოების კანონში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რომელიც შრომის ინსპექციის მანდატს გაავრცელებს თვითდასაქმებულთა ნაწილშიც. ბევრი მოქალაქე საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს იმ რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო რაც ქვეყანაშია. შრომის ინსპექციას უნდა გააჩნდეს მანდატი, შეამოწმოს თვითდასაქმებულთა საქმიანობა და მისცეს მათ რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით. აუცილებელია, ამ კუთხით, გამკაცრდეს სამუშაოს დამკვეთის პასუხისმგებლობა სამუშაოს თვითდასაქმებული შემსრულებლის მიმართ. გასათვალისწინებელია, რომ სამუშაოს დამკვეთი ხშირად სარგებლობს კანონმდებლობის ერთგვარი ბუნდოვანებით და ფაქტობრივ დასაქმებულს წარმოაჩენს თვითდასაქმებულად. ამგვარად იგი ცდილობს შრომით ურთიერთობებსა და შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული ვალდებულებებისთვის თავის არიდებას.

ამასთან მნიშვნელოვანია მიმდინარეობდეს ზოგადი კამპანია სოფლის მეურნეობის დარგში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის საჭიროებაზე. ასევე უნდა არსებობდეს შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სოფლის მოსახლეობას რეგულარულად მიეწოდება.

შსო-ს რეკომენდაციის მიხედვით<sup>28</sup> კომპეტენტურმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს დასაქმებულებისთვის და დამსაქმებლებისთვის შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება შრომის უსაფრთხოების ზომების შესახებ. ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს პროცედურები, რომელიც აღწერს სამუშაო ადგილზე მომხდარ საწარმოო შემთხვევებს და პროფესიული დაავადების შემთხვევებს. აღნიშნული სტატისტიკა გამოყენებული უნდა იქნეს ეროვნული პოლიტიკის გატარებისა და პრევენციული პროგრამების

<sup>28</sup>შსო, კონვენცია №192 - უსაფრთხოება და ჯანმრთელობა სოფლის მეურნეობაში, თავი2. 53(1C)

დაგეგმვისთვის.<sup>29</sup> გარდა ამისა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მასალების მომზადებას.<sup>30</sup>

მეთვალყურეობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიხედვით ხელისუფლების კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა უნდა დააფუძნონ, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზედამხედველობის მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა, ისე სამუშაო გარემოს ზედამხედველობა.<sup>31</sup>

სისტემა უნდა მოიცავდეს აუცილებელ რისკის შეფასებას და სადაც საჭიროა დამცავ ღონისძიებებს. ასევე საჭიროების შემთხვევაში ჯანმრთელობის ზედამხედველობის ღონისძიებები უნდა გატარდეს ახალგაზრდა დასაქმებულებისთვის, ორსული და მცირეწლოვანი შვილის მომვლელი ქალებისთვის, ასევე ხანდაზმული პირებისთვის.<sup>32</sup>

რეკომენდაცია ხაზს უსვამს ასევე ქალების უსაფრთხოებას- ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს სამუშაო ადგილზე ისეთი რისკების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ორსული ან ჩვილის მომვლელი ქალის ჯანმრთელობასთან და ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან.<sup>33</sup>

რეკომენდაციაში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი თვითდასაქმებული ფერმერების საკითხს. მასში აღნიშნულია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა კონვენციით გათვალისწინებული დაცვის ხელმისაწვდომობის გაფართოება უნდა დაგეგმონ თვითდასაქმებული ფერმერების მიმართულებით. ამისათვის ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა დაკონკრეტდეს თვითდასაქმებულ ფერმერთა უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში შრომის უსაფრთხოებასთან<sup>34</sup>.

რეკომენდაცია ხაზს უსვამს, რომ თვითდასაქმებული ფერმერების წარმომადგენლების ხედვები გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული პოლიტიკის ფორმულირების, იმპლემენტაციის და პერიოდული გადახედვის პროცესში.<sup>35</sup>

---

<sup>29</sup>მსო, კონვენცია №192 - უსაფრთხოება და ჯანმრთელობა სოფლის მეურნეობაში, თავი2.

ნაწილი3(2B)

<sup>30</sup>იქვე 53(2C)

<sup>31</sup>იქვე 54 (1)

<sup>32</sup>იქვე 54(3)

<sup>33</sup>იქვე 511

<sup>34</sup>იქვე 512(1)(2)

<sup>35</sup>იქვე 512(3)

შსო-ს კონვენცია №25 „ავადმყოფობის დაზღვევა სოფლის მეურნეობაში“ (1927) მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ სავალდებულო ავადმყოფობის დაზღვევის სისტემა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის. №38 კონვენცია კი დაზღვევის მექანიზმის მოთხოვნას აწესებს ინვალიდობის შემთხვევებზე.

## **სოციალური დიალოგის ნაკლებობა**

იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმეტესობა თვითდასაქმებული და ამასთან არაფორმალურად დასაქმებულია, განსაკუთრებით რთულია მათი ორგანიზება და პროფკავშირებში გაწევრიანება.

აგრარული მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფესიული კავშირის (შემდგომში აგრარული მეურნეობის პროფკავშირი) წარმომადგენლის განცხადებით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული კავშირი აწევრიანებს მხოლოდ 1800 დასაქმებულს, და მათი უმეტესობა არ არის საწევრო შენატანის გადამხდელი.

სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თვითდასაქმებულებს არ ჰყავთ დამსაქმებელი და შესაბამისად მათ ნაკლები მოტივაცია აქვთ იყვნენ პროფკავშირის წევრი. თუმცა რეალურად მათ დაქირავებით დასაქმებულებთან შედარებით არანაკლებ სჭირდებათ პროფესიული კავშირების მიერ წარმომადგენლობა. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულებს წარმომადგენლობა სჭირდებათ ადგილობრივ ხელიფუფლებასთან დიალოგში, რისი საშუალებითაც ისინი უნდა მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებაში და იღებდნენ ინფორმაციას არსებული პროგრამების შესახებ, მათ შორის

- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, ირიგაცია-მელიორაციის, მაღალხარისხიანი და უსაფრთხო ქიმიკატებითა და სასუქებით მომარაგების შესახებ;
- მოსავლის დაზღვევის და სუბსიდირების სხვა პროგრამების შესახებ;
- აგრონომიული და მექანიზაციის სიახლეების შესახებ;
- ხელმისაწვდომი ვეტერინარიის შესახებ;
- მავნებლების წინააღმდეგ კოლექტიურად ბრძოლის შესახებ;
- მოსავლის გრძელვადიანი შენახვის შესაძლებლობების შესახებ;
- გასაღების ბაზრების საკითხების შესახებ;
- და სხვა.

*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგავლენასექტორზე*

აგრარული მეურნეობის პროფკავშირის წარმომადგენლის განცხადებით „სახელმწიფოსგან დაფინანსებული პროგრამების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია აქვთ მხოლოდ მათ, ვისაც ჰყავს ახლობლები ადგილობრივ თვითმმართველობაში“. შესაბამისად არსებობს საჭიროება უფრო ფართო მასშტაბით ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება დასაქმებულებისათვის.

დასაქმებულთა ინფორმირებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა სწორედ პროფესიული კავშირების დახმარების გამოყენებაა. პროფესიული კავშირები მათ წევრებს რეგულარულად უტარებს სემინარებს/ტრენინგებს. რისი საშუალებითაც ისინი იგებენ იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც ქვეყანაში არსებობს. სოციალური დიალოგის გაძლიერებას, როგორც ეროვნულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე, შეუძლია ეს პროცესი უფრო აქტიური გახადოს. ამასთან ფერმერებისგან და გლეხებისგან წამოსული ინიციატივების შესახებ ინფორმაცია სწორედ პროფკავშირებში გროვდება, შესაბამისად ისეთი მექანიზმის არსებობა, რომელიც ამ ინფორმაციის გაცვლას შეუწყობდა ხელს, მხოლოდ დაეხმარება სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას.

დღეს სოციალური დიალოგის სამმხრივი კომისია არსებობს მხოლოდ ეროვნულ დონეზე. რაც ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივ დონეზე სოციალური დიალოგი წახალისებული არ არის. ადგილობრივ დონეზე სოციალური დიალოგის კომისიების გაჩენა მნიშვნელოვან დადებით როლს ითამაშებდა, როგორც სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა კეთილდღეობის ზრდაში, ისე მთლიანად სოფლის განვითარებაში.

სოფლის მოსახლეობაში შედარებით ნაკლებია წვდომა მაღალხარისხიან და სწრაფ ინტერნეტზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე, შესაბამისად მათთვის ინფორმაციის უშუალოდ მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა პროფკავშირების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია უნდა არსებობდეს დარგობრივ დონეზეც, სადაც გადაწყდება დარგის განვითარების მომავალი და ასევე ადგილობრივ დონეზეც, საიდანაც სახელმწიფოს შეუძლია უკეთესად მიიღოს ინფორმაცია იმ საჭიროებების შესახებ, რაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობას აქვს და ამასთან დასაქმებულები პროფკავშირების ჩართულობით მიიღებენ მეტ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის პროგრამების შესახებ და წამოაყენებენ ინიციატივებს სიახლეების დასანერგად.

## პრობლემები სოფლის მეურნეობის დარგში და ცვლილებების საჭიროება

### პრობლემური საკითხები

საქსტატის, 2014 წელს ჩატარებული, სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, ერთი შინამეურნეობის მიერ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი საშუალოდ 1,2 ჰექტარია.<sup>36</sup>

ქვეყანაში შინამეურნეობების საკუთრებაში სულ 322 ათასი ჰა ფართობის სახნავი მიწაა. აქედან 2020 წელს სხვადასხვა სასუქით დამუშავებულმა ფართობმა მხოლოდ 200 ათასი ჰა შეადგინა.<sup>37</sup> შესაბამისად დამუშავდა მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობის მხოლოდ 62,1%.

შინამეურნეობების საკმაოდ დიდი ნაწილი მიწას დაუმუშავებელს ტოვებს. ამის მთავარი მიზეზი კი მიწის დამუშავების არამომგებიანობაა. გლეხებს არ აქვთ გარანტია, რომ ისინი გაყიდვას მოყვანილ პროდუქციას თვითღირებულებაზე მაღალ ფასად. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი მაღალი დანახარჯებია მასშტაბის ეკონომიის არარსებობის პირობებში. მაგალითად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში, ერთი შინამეურნეობის საკუთრებაში საშუალოდ 0,4 ჰა მიწის ნაკვეთია, იმერეთში - 0,6 ჰა. აღნიშნული მცირე მიწები არ არის საკმარისი რენტაბელური საქმიანობისთვის. სხვა რეგიონებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კახეთში, სადაც ერთი შინამეურნეობა საშუალოდ 3,6 ჰა მიწის ფართობს ფლობს.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის საკითხებში ამბობს: „ერთ კომლს ხუთი ჰექტარი მიწა მაინც სჭირდება, რომ ოჯახმა სოფელში თავი გაიტანოს და ელემენტარული მოთხოვნები დაიკმაყოფილოს. ეს მაშინ, როცა ქართველი გლეხების დიდ ნაწილს 1-2 ჰექტარი მიწა აქვს. ისინი ვერაფერს ახერხებენ ამ მიწით, სოფლიდან გარბიან და თავის ნაკვეთებს უპატრონოდ ტოვებენ, ვერც თვითონ იყენებენ და არც სხვას უთმობენ.“<sup>38</sup>

შინამეურნეობების თითქმის 38% მათ მფლობელობაში არსებულ მიწას არ ამუშავებს. ამასთან ქვეყანაში საკმაოდ რთულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვა, ვინაიდან სახელმწიფოს საკუთრებაში დღემდე რჩება დიდი რაოდენობის მიწა, რომელსაც სახელმწიფო ყიდის არცთუ მაღალ ფასად. ასეთ პირობებში ფასი ფაქიურად დგინდება სახელმწიფოს მიერ და შინამეურნეობები, რომელთაც არ აქვთ მოტივაცია დაამუშაონ მიწა

<sup>36</sup> საქსტატი, სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014

<sup>37</sup> საქსტატი, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020

<sup>38</sup> Gfa.org.ge, სტატია

იძულებულნი არიან შეინარჩუნონ საკუთრებაში მიწები. გარდა ამისა ინვესტორისათვის უფრო ხელსაყრელია, თუ ის მიწის დიდ ფართობს შეიძენს სახელმწიფოსგან და არა პატარ-პატარა ნაკვეთებს კერძო მფლობელებისგან. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უფრო სწრაფი ტემპით მოახდინოს მიწის გაყიდვა, რაც კერძო მესაკუთრეებს საშუალებას მისცემს თავად დაადგინონ მიწის ფასი. თუმცა აქ თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემა, სოფლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, მათ მფლობელობაში არსებული მიწები რეგისტრირებულ საკუთრებაში არ აქვს. შესაბამისად ის მიწები, რომლებიც რეგისტრირებული არ არის, აღიქმება, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, რაც ხშირად იწვევს გაურკვეველობას - ხდება იმ მიწების გაყიდვა, რომელიც საოჯახო მეურნეობის მფლობელობაში იყო. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მიწის რეგისტრაციის პროცესის დაჩქარება.

მიწის დამუშავების წასახალისებლად სახელმწიფოს ასაევე შეუძლია გამოიყენოს ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ინსტრუმენტი გულისხმობს მაგალითად გადასახადის დაწესებას დაუმუშავებელ მიწებზე, რაც მესაკუთრეს უტოვებს არჩევანს დაამუშაოს მიწა ან გაყიდოს ეს მიწა მასზე ვინც მას დაამუშავებს.

**სოფლის მეურნეობის დარგები – მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მარცვლეული კულტურების, ხილის, ბოსტნეულის მოყვანა, მოწყვლადია სხვადასხვა კლიმატური და ვირუსული რისკის მიმართ. ამ რისკების თავიდან აცილება მოითხოვს დამატებით ინვესტიციებს, ისეთი მიმართულებებით როგორია: სექცვისაგან დამცავი მოწყობილობები, საირიგაციო მოწყობილობები, შეწამვლის საშუალებები, მღრღნელებისა და მწერებისაგან დაცვის საშუალებები, ვირუსების პრევენციის სტანდარტები და სხვა.<sup>39</sup>**

გლეხებისთვის განსაკუთრებით ხშირად პრობლემას წარმოადგენს ისეთი რისკები, როგორცაა სექცვა და სხვა ბუნებრივი რისკები. სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში ასუბსიდირებს ერთწლიანი და მრავალწლიანი დაზღვევის პრემიას. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ფერმერებს არ შეუძლიათ დაზღვევის მიღება და ეს არის ის კატეგორია, რომელსაც მფლობელობაში გააჩნია მიწები, მაგრამ ეს მიწები არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.<sup>40</sup> ასეთ მიწებზე სადაზღვევო პრემია ბევრად მაღალია, ამიტომ ფერმერები თავს იკავებენ დაზღვევისგან. ამის გამო კი არის შემთხვევები, როცა სტიქიური უბედურების შედეგად ფერმერი საარსებო წყაროს გარეშე რჩება.

<sup>39</sup>[Forbes.ge, სტატია, 2019საქართველოს სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილია](#)

<sup>40</sup>[Maestro television, 2019 რა პრობლემები აქვთ გლეხებს](#)

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და მისი კომპონენტის - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების(DCFTA) ხელმოწერის შემდეგ, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მეფუტკრეობის შედეგად წარმოებული პროდუქციის გატანა გახდა. მეფუტკრეებს საკმაოდ ბევრი სიახლის დანერგვა მოუხდათ იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინათ ევროკავშირის მოთხოვნები.

დღეს მეფუტკრეები უმთავრეს პრობლემად თავლის ხარისხის კონტროლისთვის შესაბამისი ლაბორატორიის არარსებობას ასახელებენ საქართველოში. მათ თავლის ნიმუშების სხვა ქვეყნებში გაგზავნა უწევთ, რათა დადგინდეს შესაბამისია თუ არა თავლი ევროპულ სტანდარტებთან. ეს კი საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

პროფესორი პაატა კოლუაშვილი აღნიშნავს, - სოფლის მეურნეობის დარგისთვის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კომერციულ ბანკებზე მიწის მორატორიუმი არ ვრცელდება. მისი აზრით გირაოში ჩადებული მიწის გადაცემა ბანკის საკუთრებაში არ უნდა ხდებოდეს.

როგორც გურიის რეგიონში, „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ მიერ ჩატარებულ კვლევაშია აღნიშნული- „დაბალი პროდუქტიულობა, თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების სიმწირე, ღირებულებათა ჯაჭვის სისუსტე აფერხებს დარგის კონკურენტუნარიანობას და განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნული დარგი დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, რაც განპირობებულია, მოძველებული და ამორტიზირებული გენეტიკური მასალით, ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობით, ფინანსური რესურსის დაბალი ხელმისაწვდომობით, მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირით.“<sup>41</sup>

კვლევა ხაზს უსვამს, რომ დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ღირებულებათა ჯაჭვის შექმნა, რომელიც მოიცავს ნედლეულსა და ტექნიკაზე ხელმისაწვდომობას, სოფლის მეურნეობების დამამუშავებელი საწარმოების, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარებას.

საქართველოში იმპორტირებული საკვები პროდუქტების უმეტესობა სამრეწველო გადამამუშავების შედეგია, ასეთია მაგალითად ხორცპროდუქტები, რძის პროდუქტები და მარცვლეული კულტურები. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში კვების მრეწველობის დარგში არსებული საწარმოების ნაკლებობაა.

<sup>41</sup>[გურიისახალგაზრდულირესურსცენტრი, 2021.](#)

[„კვლევაშრომისბაზრისდაზრდისპოტენციალისმქონეეკონომიკურისექტორებისიდენტიფიცირების მიზნით“](#)

## უცხოელებზე მიწის მიყიდვა

აღსანიშნავია, რომ უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით სახელმწიფომ ორჯერ 2013 და 2017 წლებში მორატორიუმი გამოაცხადა. ორივე შემთხვევა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონის დღევანდელი რედაქციის მიხედვით: „უცხოელი და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები ვალდებული არიან თავიანთ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე საკუთრების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში გაასხვისონ საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.“

ამასთან კანონშივე აღნიშნულია, რომ ამ მუხლის ჩანაწერში სიტყვები „უცხოელი და“ არაკონსტიტუციურადაა ცნობილი.

კანონის მიხედვით „[ზემოთაღნიშნული ნორმით] გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს სასამართლო გადაწყვეტილებით და სათანადო კომპენსაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.“

სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიყიდვას კრძალავდა ნეგატიურ გავლენას ახდენდა მსხვილ კომპანიებზე, რომლებიც ასეთ მიწებს ფლობდნენ და გაფართოება სურდათ ან პოტენციურ ინვესტორებს წარმოადგენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი კომპანიები ასაქმებენ მოსახლეობას საკუთარ ფერმებში. ამასთან მათ აქვთ ცოდნა, გამოცდილება და წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რისი საშუალებითაც ისინი უფრო კონკურენტუნარიანი არიან უცხოურ პროდუქციასთან მიმართებით (მცირე მეურნეობებისგან განსხვავებით). ამიტომ ცალსახად რთულია იმის თქმა, რომ სოფლის მოსახლეობისთვის საკეთილდღეოა მიწის გაყიდვის აკრძალვა უცხოელებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის მცირე ნაკვეთებად დაყოფა და მოსახლეობის დამოუკიდებელი საქმიანობა მათში. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის აკრძალვა მართლაც გამოიყენება ზოგიერთ ქვეყანაში. თუმცა უფრო გავცელებული ფორმაა უცხოელებზე მიწის მიყიდვის შეზღუდვა, რაც გულისხმობს გარკვეული ზღვარის



დადგენას, რომელზე მეტი ფართობის მიწის მფლობელიც ჯამოურად არ შეიძლება იყვნენ უცხოელები.

### **მიწის ნაკვეთების გამსხვილება**

მეურნეთა ნაწილი, რომელიც ფლობს შესაბამის ცოდნას და აქვს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებთან შესაძლოა მართლაც იყოს წარმატებული. თუმცა ასეთი საქართველოში ცოტაა. ტექნოლოგიები დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, რისი საშუალებაც ფერმრებს არ აქვთ. ამასთან ტექნოლოგიებში ინვესტიცია შესაძლოა მომგებიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის საკუთრებაში დიდი მოცულობის მიწებია, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ინვესტიცია წამგებიანი იქნება. მცირე მიწის მფლობელები ვერ აღწევენ მასშტაბის ეკონომიას, რის გამოც მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ძვირი და არაკონკურენტუნარიანია.

მსხვილი მეურნეობების შექმნის მიზნით მიწების გასხვისება და ინვესტიციების მოზიდვა არაპოპულარული ნაბიჯია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობაში ჩართულია იმაზე მეტი ადამიანი ვიდრე საჭიროა იმ მოცულობის პროდუქციის საწარმოებლად, რაც ქვეყანაში იწარმოება და ამის გამომწვევი მიზეზი დაბალი მწარმოებლურობაა.

საქსტატის მიერ ახალი მეთოდოლოგიის დანერგვამ დაგვანახა, რომ იმ პირების 52%, რომელიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლებოდა, რეალურად საარსებო მეურნეობას ეწევა და დასაქმებული არ არის. ეს ადამიანები საკუთარი მოხმარების მიზნით მცირე ნაკვეთებს ამუშავებენ და არ შეიძლება ითვლებოდნენ დასაქმებულებად. ასეთი პირების საკუთრებაში, ან - არის მცირე ნაკვეთები, ან ისინი ფლობენ უფრო დიდი ზომის მიწის ნაკვეთებსაც, მაგრამ არ ამუშავებენ მათ.

საარსებო მეურნეობაში ჩართული პირები სიღარიბეში დარჩენისთვის არიან განწირულნი, მანამ, სანამ არ შეიქმნება სამუშაო ადგილები სადაც ისინი დასაქმდებიან. ის 52%, რომელიც მხოლოდ მცირე ნაკვეთზე ეწევა საქმიანობას და უმუშევრად ითვლება, შეიძლებოდა დასაქმებული ყოფილიყო სოფლის მეურნეობაშივე, თუკი ინვესტორი პროდუქციის წარმოებას, ტექნოლოგიებში ინვესტირების გზით უფრო მაღალპროდუქტიულს გახდიდა. ტექნოლოგიური პროგრესი ნიშნავს იმას, რომ თვითონ დასაქმებული ხდება მაღალპროდუქტიული. მართალია დამსაქმებელი საქმიანობას ეწევა საკუთარი მოგების მიღების მიზნით, მაგრამ გამოცდილი ინვესტორის მიერ შეძენილი ტექნოლოგია და მიწოდებული ცოდნა დასაქმებულს ხდის ბევრად უფრო

პროდუქტიულს. შესაბამისად გაყიდული პროდუქციის ღირებულებას შეუძლია უზრუნველყოს, როგორც დამქირავებლის მოგება, ისე დასაქმებულის ხელფასი და ამასთან შეავსოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

მეურნეობების გამსხვილების მეორე - ნელი, მაგრამ უფრო მისაღები გზაა კოოპერატივების შექმნა და ცოდნის დაგროვება. კოოპერატივის მეპაიეებს, უფრო მასშტაბური მეურნეობის არსებობის გამო, შეუძლიათ განახორციელონ უფრო დიდი ინვესტიცია ტექნოლოგიებში. ტექნოლოგიებისა და მასშტაბის ეკონომიის მიღწევით ფერმერები გახდებიან უფრო კონკურენტუნარიანი, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში კოოპერატივების განვითარება დაბალ დონეზეა. აღნიშნული ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დარგს უფრო სწრაფ განვითარებაში.

ნ.გელაშვილის კვლევის მიხედვით კოოპერატივების წევრების მიერ დანახული სარგებელი შემდეგია: „39% თვლის რომ სარგებელი მიიღო ინვენტარის ერთობლივი შეძენა-გამოყენებიდან, 26% საწარმოო საშუალებების ერთობლივი შეძენიდან, 22% სარგებელი მოსავლის ერთობლივი შენახვიდან, გადამუშავებიდან, მარკეტინგიდან, 14% სარგებელი მიღებული ცოდნისა და კავშირების დამყარებიდან. კვლევის მიხედვით გამოკითხული კოოპერატივებიდან 31% წევრი ქალია, ხოლო 69% მამაკაცი. [კოოპერატივების] უმეტესობა დაფინანსებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ბოლო წლების განმავლობაში მათი შემოსავალი საშუალოდ გაიზარდა 64%-ით; მოგება საშუალოდ გაიზარდა 30%-ით.“<sup>42</sup>

აღნიშნული კვლევა ცხადყოფს, რომ თვითდასაქმებულთა გაერთიანება კოოპერატივებში ზრდის მათ შემოსავლებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დარგის მთლიანი ზრდა (ინფლაციით კორექტირებული) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში 10%-ს არ აღემატებოდა ჯამში, მოგების 30%-ით ზრდა კოოპერატივებში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით მათ შორის:

- 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი

<sup>42</sup> [ნ.გელაშვილი, სტატია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში“](#)

მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

- 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

კოოპერატივს ინდივიდუალურ საქმიანობასთან შედარებით აქვს მრავალი უპირატესობა: კოოპერატივის წევრთა ძალისხმევის გაერთიანება მასშტაბის ეკონომიის მიღწევის საშუალებაა; კოოპერატივისთვის უფრო მატრივია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; რესურსების გაერთიანება უზრუნველყოფს ფერმერული მეურნეობების გამსხვილებას და ეფექტიანობის ზრდას; იზოგება ხარჯები რომლებიც ფერმერებს ინდივიდუალურად უნდა გაეწიათ (მაგალითად მარკეტინგის და გასაღების ბაზრის მოძიებასთან დაკავშირებული ხარჯები); სხვადასხვა ბაზარზე შესვლა მარტივდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა შემძენს სურს დიდი პარტიების რეგულარულად მიწოდება.

კოოპერატივებს, ინდივიდუალური ფერმერებისგან განსხვავებით უფრო ფართო დახმარება/მომსახურების შეთავაზება ჭირდებათ სახელმწიფოსგან. აღნიშნული დახმარება ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან შედარებით უფრო პრაქტიკულია და მოიცავს გადამზადებას მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებით.

კოოპერატივში, სადაც ათეულობით ფერმერი ერთიანდება, საჭირო ხდება უფრო ეფექტური მენეჯმენტი, რისი გამოცდილებაც ფერმერებს არ აქვთ. შესაბამისად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კოოპერატივების წარმომადგენელთა გადამზადება კონკრეტული ქვედარგების მიხედვით.

მნიშვნელოვანი საკითხია გასაღების ბაზრებით უზრუნველყოფა და მარკეტინგული საკითხები. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქართული საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაციას უცხოურ ბაზრებზე. პარალელურად კი თავად კოოპერატივების წარმომადგენლების გადამზადება უნდა მოხდეს მარკეტინგული მიმართულებით, რათა მათ შეძლონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია.

ღირებულებათა ჯაჭვის შექმნა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ნაწილის ტრანსპორტირება დიდ მანძილებზე შეუძლებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქციის გასაღება ხდებოდეს ადგილობრივად. ამისათვის კი საჭიროა გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა. შესაბამისად სახელმწიფომ პირველ რიგში ხელი უნდა შეუწყოს

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას და ამ მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვას. აქვე მნიშვნელოვანია სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების შექმნა/გაფართოება.

სახელმწიფოს მიერ სექტორის სუბსიდირებას ხშირად მივყავართ ჭარბი მოსავლის მიღებამდე, რა დროსაც გლახს პროდუქცია უფუჭდება, ან უწევს განსაკუთრებით დაბალ ფასად გაყიდვა. ამიტომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მკაფიო ხედვა, ერთი მხრივ იმპორტის ჩანაცვლების მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ პროდუქციის გადამამუშავების კუთხით, რათა კონკრეტული მიმართულების დასუბსიდირების შემდეგ მოხდეს პროდუქციის ექსპორტირება და გლახებს არ მოუწიოთ ამ პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვა.

დღევანდელი მდგომარეობით კოოპერატივების ხელშეწყობის პოგრამა ხორციელდება მხოლოდ ორი მიმართულებით, ესენია: მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა და რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. შესაბამისად არ არსებობს კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები მემცენარეობის დარგში. კოოპერატივების წახალისებას მემცენარეობაში შეუძლია გაზარდოს ფერმერთა შრომის ნაყოფიერება, გააადვილოს გასაღების ბაზრის მოძიება მათთვის და შესაბამისად გააუმჯობესოს ფერმერთა ფინანსური მდგომარეობა.

## **სტრატეგია პროფესიული კავშირებისთვის და მათი როლი სოფლის მეურნეობის დარგში**

პროფესიული კავშირებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს დასაქმებულთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მოსახლეობაში დაბალია ცნობიერების დონე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ, პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ მათ დახმარება გაუწიონ კონსულტაციის კუთხით ამ პროგრამებზე.

გარდა ამისა ფერმერები საჭიროებენ კონსულტაციებს კოოპერატივის შექმნის მნიშვნელობასა და შემდგომ ტექნიკურ და იურიდიულ დეტალებთან დაკავშირებით.

კოოპერატივების შექმნა ერთის მხრივ არის სექტორის ფორმალიზაციის გზა, ხოლო მეორეს მხრივ პროფესიული კავშირებისთვის ქმნის დასაქმებულთა ორგანიზების საშუალებას. კოოპერატივი წარმოადგენს იურიდიული პირის

*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგავლენასექტორზე*

ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, შესაბამისად მას გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურა (თვითდასაქმებულებისგან განსხვავებით), ამიტომ პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში დახმარება გაუწიონ კოოპერატივების მეპაიეებს, რომლებიც გაწევრიანდებიან პროფესიულ კავშირებში. ეს დახმარება შეიძლება იყოს როგორც საკონსულტაციო ხასიათის ისე დახმარება იურიდიულ საკითხებში, უფლებების დაცვა და ინტერესების წარმომადგენლობა და ლობირება სოციალური დიალოგის ფორმატებში.

მნიშვნელოვანია პროფესიულმა კავშირებმა დაიწყონ კოოპერატივების წევრთა გაწევრიანება საკუთარ რიგებში. სასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა ორგანიზება განსაკუთრებით რთულია, ვინაიდან მათი უმეტესობა თვითდასაქმებულია და ამასთან მათი საქმიანობა არაფორმალურია. პროფესიული კავშირები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ერთის მხრივ სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ გადამამუშავებელ საწარმოებში დასაქმებულთა ორგანიზებაზე, ხოლო მეორეს მხრივ თვითდასაქმებულთა ფორმალიზებაზე კოოპერატივებში გაწევრიანების გზით.

იქიდან გამომდინარე, რომ კოოპერატივების მეპაიეები, თავად არიან დასაქმებულები, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია წარმომადგენლობა სახელმწიფოსთან დიალოგში. პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ დიალოგი და წარმომადგენლობა ხელისუფლებასთან.

პროფესიული კავშირების მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე სოციალურ დიალოგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგის მომავლის დაგეგმვის პროცესში. პროფესიულ კავშირებს მუდმივი შეხება აქვთ ფერმერებთან, ამიტომ მათ შეუძლიათ ხელისუფლებამდე მიიტანონ ის პრობლემები, რომელიც დარგში არსებობს და ეს უნდა გახდეს დარგის განვითარების სწორი პოლიტიკის დანერგვის საწინდარი.

საჭიროა პროფესიულმა კავშირებმა მონაწილეობა მიიღონ ყველა ფორმატის განხილვებში, რომელიც ეხება სოფლის მოსახლეობის საჭიროებებს, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროგრამების დაგეგმვის პროცესში. პროფესიულმა კავშირებმა უნდა გააჟღერონ სოფლის მეურნეობის დარგში სექტორული სოციალური პარტნიორობის კომისიის შექმნის ინიციატივა და ამ ინიციატივით მიმართონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში სოფლის მეურნეობის სამინისტრო). ამასთან პროფესიულმა კავშირებმა, როგორც სოციალურმა პარტნიორმა სამინისტროდან უნდა გამოითხოვონ ყველა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისა და დასაქმებულთა უფლებების დაცვისა თუ მათი

ინფორმირებულობისათვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროფესიული კავშირები უნდა აღიქვას სოციალურ პარტნიორად და თავი მასთან ანგარიშვალდებულად ჩათვალოს. ამისათვის კი საჭიროა ხშირი კომუნიკაცია სამინისტროსთან და სოციალური პარტნიორობის კომისიის შექმნის შეთავაზება. აღნიშნული კომისია შრომით და სოციალურ საკითხებთან ერთად უნდა განიხილავდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსახორციელებელ პროგრამებს, ხოლო პროფესიული კავშირები, რომელსაც ხშირი კომუნიკაცია აქვს ფერმერებთან, სამინისტროს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას ფერმერთა საჭიროებების შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სოფლის-მეურნეობის დანიშნულების ნაკვეთების მფლობელთა წინაშე დგას, არის ამ ნაკვეთების რეგისტრაცია. დაურეგისტრირებელი მიწების მფლობელებს პრობლემები ექმნებათ აგროდაზღვევის გამოყენებაში. პოფესიულ კავშირებს შეუძლიათ ამ მიმართულებითაც შეასრულონ კონსულტანტის როლი, გასწიონ ლობირება შესაბამისი კანონების და გადაწყვეტილებების მისაღებად როგორც პარლამენტში, ასევე მთავრობის სტრუქტურებში.

პროფესიული კავშირები ფერმერთა დახმარების პროცესში ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ფერმერთათვის ინოვაციური ტექნოლოგიების სიკეთეების წარმოჩენაზე. ცოდნა და ახალი ტექნოლოგიები ერთადერთი გზაა პროდუქტიულობის ზრდისა და დარგის განვითარებისთვის. ამ სფეროში მათ შეუძლიათ საერთაშორისო პროფკავშირული გამოცდილების, თანამშრომლობის და კავშირების გამოყენება.

გლობალური დათბობის და გაუდაბურების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წყალდამზოგავი სისტემების გამოყენება და დაწვიმებითი და წვეთოვანი ხერხების და წესების დანერგვა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონებში სადაც მიმდინარეობს გაუდაბურების პროცესი. მსგავსი ტექნიკის დანერგვა ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს მომდევნო წლებში. პროფკავშირები ჩართული უნდა იყოს ამ საკითხების ლობირებაში.

მნიშვნელოვანი საკითხებია ასევე:

- შრომის უსაფრთხოების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში დახმარება. პროფესიული დაავადებების პრევენცია და კომპენსაციის მიღებაში დახმარება.

- ინდივიდუალური და კოლექტიური დავების, მათ შორის შრომის უფლებების საკითხებში, სასამართლოებში წარმომადგენლობა.
- მუნიციპალურ და სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ კერძო კომპანიებთან მოლაპარაკებებში იურიდიული დახმარების გაწევა, მათ შორის ზარალის ანაზღაურების და სხვა სახის კომპენსაციების მიღებაში დახმარება.

## დასკვნა და რეკომენდაციები

**ზუსტი სტატისტიკის წარმოება**, რამდენი ადამიანია თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაში და რამდენი ასრულებს სამუშაოს დაქირავებით. საჭიროა არსებობდეს ზუსტი სტატისტიკა. დასაქმებულთა ნაწილი პირდაპირაა დაქირავებული დამსაქმებლის მიერ, თუმცა მეორე ნაწილი, რომელიც თვითდასაქმებულად ითვლება შეიძლება იყენებდეს ასევე დაქირავებით შრომას, თუნდაც უსასყიდლოდ. ასეთი პირების მიერ გამოყენებული დაქირავებული შრომა უნდა ექვემდებარებოდეს შრომის საერთაშორისო ოგანიზაციის სტანდარტებს, როგორც უსაფრთხოების, ისე უფლებრივ ნაწილში.

**საჭიროა სტატისტიკურად აღირიცხოს ასევე ე.წ. „საარსებო წყაროთი უზრუნველმყოფი მეურნეობის განმახორციელებელი“<sup>43</sup> ფერმერების რაოდენობა.** სოფლის მეურნეობაში ჩართული პირების რაოდენობა 2021 წლიდან ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგად შემცირდა 442 ათასით<sup>44</sup>. ეს არის დაახლოებით ის რაოდენობა რომელიც სოფლის მეურნეობას არსებობისთვის იყენებს და ამით ისინი ფაქტიურად ვერანაირ შემოსავალს ვერ იღებენ. დღევანდელი მონაცემებით ისინი უკვე უმუშევრად ითვლებიან, თუმცა სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნებისთვის საჭიროა მათ შესახებ სტატისტიკის წარმოება და ამ ჯგუფის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად ქცევა, ვინაიდან ისინი ისევე, როგორც თვითდასაქმებულები სოფლის მეურნეობაში აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას იმ განსხვავებით, რომ ისინი ამით შემოსავალს ვერ იღებენ. გარდა ამისა ეს არის ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე დაბალშემოსავლიანია, რადგან ისინი საკუთარი საქმიანობით ფულად შემოსავალს ვერ იღებენ. შესაბამისად სახელმწიფო ამ კატეგორიას განსაკუთრებით უნდა ეხმარებოდეს იმისათვის, რომ მათ გაზარდონ საკუთარი ეფექტურობა და შემოსავლები. რაც

<sup>43</sup> subsistence farming

<sup>44</sup> 52,6%-ით

*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგავლენასექტორზე*

უზრუნველყოფდა მათ ჩართულობას სამუშაო ძალაში. შესაბამისად, შეამცირებდა მათ დამოკიდებულებას სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი დახმარების მიღებაზე.

**სოციალური დიალოგის წახალისება ადგილობრივ დონეზე.** იმისათვის, რომ სოფლის მოსახლეობას ჰქონდეს მეტი ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ და ამასთან მსგავსი პროგრამები იქმნებოდეს სწორედ მოსახლეობის ჩართულობითა და მათი საჭიროებების სრულად გათვალისწინებით, საჭიროა დასაქმებულებსა და სახელმწიფოს შორის (ასავე დამსაქმებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდეს სოციალური დიალოგი. გარდა ამისა საჭიროა არსებობდეს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია დარგობრივ დონეზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მონაწილეობით, სადაც განხილული იქნება დარგის განვითარების სამომავლო გეგმები და სადაც დასაქმებულებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ გამოხატონ თავისი მოსაზრებები პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კუთხით.

**შრომის ინსპექციის მანდატის გავრცელება თვითდასაქმებაზე.** ბევრი მოქალაქე საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო რისკის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა სოფლის მოსახლეობაში დაბალია ცნობიერების დონე შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ. შრომის ინსპექციას უნდა გააჩნდეს მანდატი, შეამოწმოს თვითდასაქმებულთა საქმიანობა და მისცეს მათ რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციების დაცვამ შესაძლოა დაიცვას მრავალი დასაქმებულის სიცოცხლე და ჯანმრთელობა სოფლის მეურნეობის დარგში. ამგვარად, მნიშვნელოვანია შსო-ს 129-ე კონვენციის რატიფიცირება.

**საინფორმაციო კამპანიები.** სოფლის მეურნეობაში არასაკმარისია ცნობიერების დონე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. სახელმწიფომ პროფკავშირების ჩართულობით უნდა აწარმოოს უფრო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია იმ პროგრამების შესახებ, რაც აქტიურად მიმდინარეობს. ამით გაიზრდება სოფლის მოსახლეობის ჩართულობა აღნიშნულ პროგრამებში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ამასთან უზრუნველყოფს დარგის უფრო სწრაფ განვითარებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მიმდინარეობდეს კამპანია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის საჭიროებაზე. უნდა



არსებობდეს შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სოფლის მოსახლეობას რეგულარულად მიეწოდება.

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წახალისება.** სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები ხელს უწყობენ ფერმერული მეურნეობების განვითარებას, რასაც მიყვავართ, ფერმერთა შემოსავლების ზრდამდე, როგორც მასშტაბის ეკონომიის მიღწევის, ისე ფინანსებსა და ტექნოლოგიებზე გამარტივებული ხელმისაწვდომობის გამო. კოოპერატივების წევრები ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას და ამასთან მათ აქვთ გაუმჯობესებული წვდომა ახალ ბაზრებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების \(Nace rev. 2\) მიხედვით 2020](#)
2. [გაეროს განვითარების პროგრამა „გენდერული ბარიერები საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ნაწილი II, გვ. 37](#)
3. [ნ.გელაშვილი, სტატია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში](#)
4. [სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდი, „შეღავათიანი აგროკრედიტი“](#)
5. [სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდი, საარსებო შემწეობა, 2020](#)
6. [ახალი კორონავირუსით \(SARS-COV-2\) გამოწვეული ინფექციის \(COVID-19\) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ](#)
7. [შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიში , 2019](#)
8. [C184 - Safety and Health in Agriculture Convention, 2001 \(No. 184\)](#)
9. [C011 - Right of Association \(Agriculture\) Convention, 1921 \(No. 11\)](#)
10. [C129 - Labour Inspection \(Agriculture\) Convention, 1969 \(No. 129\)](#)
11. [C010 - Minimum Age \(Agriculture\) Convention, 1921 \(No. 10\)](#)
12. [C101 - Holidays with Pay \(Agriculture\) Convention, 1952 \(No. 101\)](#)
13. [C025 - Sickness Insurance \(Agriculture\) Convention, 1927\(No. 25\)](#)
14. [C038 - Invalidity Insurance \(Agriculture\) Convention, 1933 \(No. 38\)](#)

*სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულების შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და COVID-19-ისგაველენასექტორზე*

15. [C099 - Minimum Wage Fixing Machinery \(Agriculture\) Convention, 1951 \(No. 99\)](#)
16. [R192 - Safety and Health in Agriculture Recommendation, 2001 \(No. 192\)](#)